პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 05

20 17 წ. "17" 03

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნისათვის" ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ასევე, რადგან დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6 მუხლის ,,ა", ,,გ" და ,,ვ" ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის მოთხოვნები, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ "XXI საუკუნეს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404925328) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 17 მარტის №2 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ირაკლი ბაიდაშვილი